



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №35/19  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 26 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 1 აპრილის №139/35-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 22 აპრილს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორის განცხადებით 2018 წლის 17 იანვარს ჩანიშნულ სხდომაზე, რომელზეც იკითხებოდნენ ბრალდების მოწმეები, -- -- დამცველმა ადვოკატმა იშუამდგომლა სხდომის გადადებაზე, რადგან ბრალდებული საპატიო მიზეზით ვერ ცხადდებოდა სხდომაზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა ბრალდებულთან სატელეფონო საუბრის შედეგად, ხოლო რაც შეეხება სხდომაზე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილ ოქმს, ბრალდებულის მიერ გაურკვეველი მიზეზის გამო სხდომაზე გამოცხადებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული ოქმი არაა მის მიერ ხელმოწერილი და მისთვის უცნობია აღნიშნული ოქმის შედგენის შესახებ. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა რა შუამდგომლობა, დაარღვია შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპი. ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობდა მისი დასწრები გარეშე, რითიც დაარღვია საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ ბრალდებულ -- -- მიერ მიცემული ჩვენება, მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას არ გაითვალისწინა.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- სასამართლოს მოსამართლე --- -- წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის საქმე --- მიმართ.

2018 წლის 17 იანვრის არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა №-- პენიტენციური დაწესებულების ოპერატიული მორიგეს პატაკი, რომელსაც ერთვოდა ოქმი, რომლითაც ბრალდებული

უარს აცხადებდა სასამართლო პროცესზე წასვლაზე. 2018 წლის 18 იანვარს -- სასამართლოში შევიდა მსჯავრდებულ -- განცხადება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 2018 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომის ერთი თვით გადადების შესახებ.

2018 წლის 5 თებერვალს მოსამართლე -- ადგილზე თათბირით მიიღო განკარგულება ბრალდებულ -- სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. 2018 წლის 31 ოქტომბერს სასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულის სასამართლო სხდომაზე დაშვების შესახებ. 2018 წლის 13 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე ბრალდებული -- დაკითხულ იქნა მოწმედ.

-- სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის განაჩენით:

1. -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 14:10 საათის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
2. -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 1 თებერვლის, დაახლოებით 18:11 საათის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
3. -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
4. -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2017 წლის 19 მაისის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-5 ნაწილით (2017 წლის 25 მარტის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა - 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქა დანარჩენი სამი ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, -- მოსახდელად განესაზღვრა 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს - 11 (თერთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენებით დანიშნული/განსაზღვრული სასჯელების - თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის მოუხდელი ნაწილიდან - 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, -- მოსახდელად განესაზღვრა 17 (ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.
7. -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყო განაჩენის მიღების დღიდან - 2019 წლის 24 იანვრიდან.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების შესახებ და აგრეთვე გააძევა დარბაზიდან, ამის გამო მან მონაწილეობა ვერ მიიღო ბრალდების მოწმეთა დაკითხვაში და ამით დაარღვია მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპი.

საქართველოს სსსკ 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. სასამართლოში საქმის განხილვის გადადება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობის, საგამომიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს სსსკ 185-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს წინასწარ მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ, რის თაობაზეც უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

საქართველოს სსსკ 188-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მხარე ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ამ კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლო განხილვის დაწყებამდე შეატყობინოს სასამართლოს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს აქვს სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება. ეს პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბდა კოლოზას საქმეში (*Colozza v. Italy*) ყოველთვის გამოიყენება პირველი ინსტანციით საქმის განხილვის დროს და საყოველთაოდ აღიარებულია. ევროპულმა სასამართლომ საქმეში სტენფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, კიდევ უფრო დააზუსტა ამ პრინციპის მნიშვნელობა: „მთლიანობაში, განხილული მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. ზოგადად ეს მოიცავს, არა მხოლოდ დასწრების, არამედ სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალის დევნების უფლებას“. სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მონაწილეობა არ არის აუცილებელი მხოლოდ დაცვის ინტერესებისათვის, ის ხელს უწყობს სასამართლოს ბრალდებულის შესახებ შთაბეჭდილებების შექმნაში და მისი განცხადებების მოსმენის საშუალებას აძლევს. ამ სტანდარტიდან ერთ-ერთ გამონაკლისს წარმოადგენს დისციპლინური მიზეზები, როდესაც ბრალდებული არ ემორჩილება სასამართლო განხილვის ნორმალურად წარმართვის მიზნით დადგენილ ქცევის წესებს. ევროპული სასამართლო მუდმივად აცხადებს, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის უფლება, ისარგებლოს დამცველის ეფექტიანი დახმარებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ბრალდებული არ კარგავს ამ უფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ არ ესწრება სასამართლო განხილვას“.

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლისა და მასზე არსებული სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერების დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2018 წლის 17 იანვრის სხდომაზე ბრალდებულ -- -- გამოუცხადებლობის მიზეზად მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა -- -- ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაასახელა, რაც მისთვის ცნობილი გახდა

ბრალდებულთან სატელეფონო საუბრის შედეგად და აღნიშნა, რომ ურჩია ბრალდებულს განცხადებით მიემართა სასამართლოსთვის პროცესის გადადების შესახებ.

ამავე სხდომაზე №-- პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ამავე დაწესებულების ოპერატიული მორიგეს პატაკი, რომელსაც ერთვოდა დასწესებულების თანამშრომლების მიერ შედგენილი ოქმი, სადაც ბრალდებული მიზეზის განმარტების გარეშე უარს აცხადებდა სასამართლო პროცესზე წასვლაზე. აღნიშნულ ოქმს გაეცნო -- --, მაგრამ უარი განაცხადა ხელმოწერაზე, რაც დაფიქსირდა ოქმში.

ვინაიდან, 2018 წლის 17 იანვრის მდგომარებით სასამართლოში შესული არ ყოფილა -- -- განცხადება სასამართლო სხდომის გადადების შესახებ და ამავე დროს მოსამართლე -- -- პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გააჩნდა, გააგრძელა სასამართლო სხდომა ბრალდების მხარის მოწმეთა დაკითხვით. მოსამართლის განცხადებით თუ ბრალდებული გადაწყვეტდა პროცესში მონაწილეობას, მას ამის შესაძლებლობას არავინ დაუკარგავდა.

2018 წლის 18 იანვარს სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა -- პენიტენციური დაწესებულების 2018 წლის 12 იანვრით დათარიღებული წერილი, რომელსაც ერთვოდა -- -- განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 2018 წლის 17 იანვრის სასამართლო სხდომის ერთი თვით გადადების შესახებ.

2018 წლის 5 თებერვლის სხდომაზე, მას შემდეგ რაც მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა 2018 წლის 17 იანვრის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი, -- -- სხდომის დარბაზში დაარღვია წესრიგი, რაც გამოიხატა ყვირილსა და უცენზურო სიტყვების წამოძახებაში, ასევე საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებისადმი დაუმორჩილებლობაში. იგი ასევე არ დაემორჩილა მოსამართლის მოწოდებას შეეწყვიტა არასათანადო ქცევა და გააგრძელა წესრიგის დარღვევა. ვინაიდან სახეზე იყო დაუმორჩილებლობის აშკარა და გამოხატული სახე, 2018 წლის 5 თებერვალს სასამართლომ ადგილზე თათბირით მიიღო განკარგულება ბრალდებულ -- -- სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

საქართველოს სსსკ 45-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. მოსამართლის მიერ ბრალდებულ -- -- სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შემდგომ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა მიმდინარეობდა ბრალდებულ -- -- ადვოკატის -- -- მონაწილეობით. 2018 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდგომ, -- -- დაბრუნებულ იქნა 2018 წლის 13 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე, რომელზეც დაიკითხა მოწმედ.

ამდენად, მოსამართლე -- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესში მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. მოსამართლე მოქმედებდა კანონისა და მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის პრეტენზიას, მოსამართლის მხრიდან განაჩენის გამოტანისას ბრალდებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ მიცემული ჩვენების გაუთვალისწინებლობის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე კანონმდებლობის შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი პროცესი ამ კუთხით შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე ხორციელდება, რის გამოც, საკითხზე მსჯელობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. სასამართლოს განაჩენის ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- 2019 წლის 26 თებერვლის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**